შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (9.823)
21 - 28 აპრილი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

კახეთში ევროატლანტიკური კლუბი დაფუძნდა

გ3.2

შეხვედრა არხილოს-კალოში

გ3.2

ინტერვიუ ევროპის კოსმოსური საგენტოს ერთადერთ ქართველ თანამშრომელთან

დალი უბილავა - დე გრააფი

გ3.6

ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა პირველი შეხვედრა გამართა

გ3.3

არ ვნუნუნებ, მაგრამ... სიბერე ადვილი არ ყოფილა

გ3.4

სიკეთე გადამდებია

გ3.8

ახალი სახელები

გ3.5



ლევან კაკალაშვილი

მან-სან-კანი 2018

გ3.5

C M Y K

კახეთში ევროატლანტიკური კლუბი დაფუძნდა

თელავში ევროატლანტიკური კლუბი ჩამოყალიბდა. კლუბის შექმნის დებულებას, რომელიც კახეთის რეგიონის მასშტაბით განახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კახეთის გუბერნიის, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებმა და მოწვეულმა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პირებმა მოაწერეს ხელი.

აღნიშული კლუბი, კახეთის რეგიონის მასშტაბით, განახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მის მიზანს წარმოადგენს რეგიონში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლება და ევროატლანტიკური სტურქტურების მიმართ გააზრებული მხარდაჭერისა და ნდობის გაზრდა.

"კახეთი იქნება ის რეგიონი, სადაც პირველად ჩამოყალიბდება ევროატლანტიკური კლუბი. მე მინდა მივესალმო და ვუსურვო წარმატებები ამ ინიციატივას, მონაწილე ორგანიზაციებსა და პირებს. მინდა ვისურვო, რომ ეს კლუბი იყოს ისეთი წარმატებული, რომ სხვა რეგიონებმაც იხელმძღვანელონ ამ მაგალითით და შექმნან ანალოგიური კლუბები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს" - აღნიშნა მიხეილ ჯანელიძემ.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ნინო ბოლქვაძე აცხადებს, რომ ევროატლანტიკური კლუბის დაარსება ხელს შეუწყობს ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესს, საზოგადოებასთან, არასამთავრობოებთან და თვითმმართველობებთან ერთად ერთობლივი ღონიძიებების განხორციელებას და ამ პროცესში მათ აქტიურად ჩართულობას.

,,ამ კლუბის დაარსების მიზანი არის ის, რომ ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია არის მთელი საზოგადოებისთვის საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი თემატიკა. ამ პროცესში ყველა უნდა ვიყოთ აქტიურად ჩართული. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვის და ჩვენი ძალების მობილიზება უნდა მოვახდინოთ. გვინდა, ერთობლივად განვახორციელოთ ერთობლივად სხვადასხვა სახის ღონისძიებები და ხელი შევუწყოთ ჩვენი ჩართულობით ევროატლანტიკური ინტეგრაცის პროცესს'',-განაცხადა ნინო ბოლქვაძემ.

კლუბის დაფუძნების ცერემონიაში, რომელიც თელავში სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო მონაწილეობა. მიხეილ ჯანელიძემ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე, პრობლემებზე, გამოწვევებსა და ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა.

,,კლუბის შექმნის იდეა მნიშვნელოვანია და ის დადებითად აისახება ამ კუთხით არსებულ პროცესზე. ჩვენ ვიმსჯელეთ იმ პერსპექტივებზე, რომლებიც საქართველოს აქვს, როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით. ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომელიც საქართველოს აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არის სრული მხარდაჭერა ამ პროცესისადმი. საქართველო დღეს არის ნატოსთან ურთიერთობების კუთხით ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე, ჩვენ გვაქვს ისეთი მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც არასდროს არ გვქონია. ასევე თანამშრომლობის და აქტიურობის ყველაზე მაღალ დონეზე ვართ ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხითაც'',- განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ევროატლანტიკური კლუბის გახსნის ღონისძიება ნატო-ს დღეების ფარგლებში ჩატარდა. ნატოს დღეები მეთერთმეტედ აღინიშნება და 1 მაისამდე გაგრძელდება. ღონისძიება საქართველოში სსიპ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და საქართველოში ბულგარეთის საელჩოს (ნატოს საკონტაქტო საელჩო) მხარდაჭერით იმართება.

პრემიერი - აზიის განვითარების ბანკი აქცენტს გააკეთებს კერძო სექტორის, მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე

აზიის განვითარების ბანკი აქცენტს გააკეთებს კერძო სექტორის, მწვანე ეკონომიკისა და ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების განვითარებაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ნიშნავს უფრო მეტ ინვესტიციას, უფრო მეტ თანამშრომლობას და უფრო სუფთა გარემოს, - ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოში გუშინ აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის ვიზიტი გაიმართა და ძალიან საინტერესო საუბარი შედგა.

„აზიის განვითარების ბანკი თავის მომავალ საქმიანობაში აქცენტს იღებს რეგიონული თანამშრომლობის პროექტზე. რეგიონში იგულისხმება ჩვენი ქვეყნის სამეზობლო და ასევე ცენტრალური აზიისა და აზიის სხვა რეგიონები. უმნიშვნელოვანესია, რომ აქცენტი გაკეთდება თითოეული დახარჯული დოლარის თუ ევროს ეფექტზე კერძო სექტორიდან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ანუ კიდევ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება კერძო სექტორის განვითარებაზე, მწვანე ეკონომიკისა და ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების განვითარებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ეს ნიშნავს უფრო მეტ ინვესტიციას, უფრო მეტ თანამშრომლობას და უფრო სუფთა გარემოს. მინდა მადლობა გადავუხადო აზიის განვითარების ბანკს და მის ადგილობრივ წარმომადგენლობას თანამშრომლობისთვის", - აღნიშნა პრემიერმა.

ვახტანგ გომელაური - სუს-ი ახორციელებს საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების გამართულობის უზრუნველყოფას

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების პრევენციის კუთხით საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, - ამის შესახებ პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით წარდგომისას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა. მისი თქმით, სუს-ი ახორციელებს საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების ტექნიკური და პროგრამული გამართულობის უზრუნველყოფას.

„ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების პრევენცია და მათზე რეაგირება სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნულ სფეროში მიღწეული წარმატებების კუთხით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 2 მნიშვნელოვანი ფორუმი, სადაც უცხოელ პარტნიორებთან და დონორებთან განხილული იქნა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების მიმართულებებით ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. ამ მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ მასალებისა და ნივთიერებების არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. სამსახური ახორციელებს საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების ტექნიკური და პროგრამული გამართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მიმართულებით ჩვენი მთავარი პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტი", - განაცხადა გომელაურმა.

გედევან ფოფხაძე - სასურველია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა

მგონი სასურველია, ბიძინა ივანიშვილის ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში, - ამის შესახებ უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ივანიშვილს აქვს ძალიან დიდი პოლიტიკური კაპიტალი იმ ავტორიტეტით, რაც მას, როგორც პოლიტკოსს და ადამიანს ქვეყენაში გააჩნია.

„ეს არის პოლიტიკური კაპიტალი, რაც ეხმარება ადამიანებს რთული სიტუაციის დროს გადაწყვეტილების მიღებაში. შეიძლება დავთმო და კონსესუსზე წავიდე ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით, სხვა შემთხვევაში ამას არ გავაკეთებ. ეს კაპიტალი უნდა იყოს გამოყენებული", - განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

რაც შეეხება უმრავლესობის ხვალინდელ სხდომას, დეპუტატის თქმით, სხდომაზე ყველა დეპუტატის სრულფასოვანი მონაწილეობა უნდა მოხდეს.

„შეიძლება, რაღაც საკითხების უტრირება ხდებოდეს, მაგრამ საერთო პოზიცია ფორმირდება იმით, რომ ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება სრულფასოვანი მონაწილეობის. გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული ყველას მონაწილეობით, ეს არის სწორი ფორმა. ამაზე უნდა ვიმსჯელოთ, რა პროცედურებია საჭირო. რაც შეეხება უკამყოფილებას, რომელიც ჩვენი მხრიდან არსებობს, ამაზე სხდომაზე შესვლამდე შეგვიძლია დავიწყოთ მსჯელობა და პოზიციაზე შევჯერდეთ. იმედი მაქვს, იქედან არ იქნება რაიმე ისეთი პრობლემა. ერთადერთი დისციპლინა, რომელსაც უნდა დაემორჩილონ დეპუტატები, არის ქვეყნის და ხალხის ინტერესები. დომინანტი არ უნდა იყოს დისციპლინაზე საუბარი", — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგალში მდებარე ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ერთსართულიანი და ოროთახიანი სახლი, სადაც ვაჟა-ფშაველა ცხოვრობდა და მუშაობდა, რიყის ქვით არის ნაგები. სახლის ერთი ნაწილი ვაჟა-ფშაველას მამის - პავლეს აშენებულია, მეორე ნაწილი კი თავად პოეტის. ეზოში დგას საბძელ-გომური, თორნე და წისქვილი.

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი 1961 წელს დაარსდა. აქ დაცულია პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები, პოეტის კრებულების სხვადასხვა პერიოდის გამოცემები, აგრეთვე პოეტისადმი მიძღვნილი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები, ფოტომასალა და სხვა. მუზეუმის საფონდო ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 2000-ზე მეტს.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის შესაბამისად, ძეგლს შეიძლება განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია, თუ მას აქვს გამორჩეული მხატვრული ან ესთეტიკური ღირებულება ან თუ იგი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპთან და გამორჩეულ ზოგად ეროვნულ ღირებულებებთან.

შეხვედრა არხილოსკალოში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი სოფელ არხილოსკალოს საზოგადოებრივ ცენტრში გამართულ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრაზე მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფარგლებში, არხილოსკალოში განხორციელებული სამუშაოები პროექტის მენეჯერმა ელენე გრიგოლიამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებთან და სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შეაჯამა.

აღინიშნა, რომ ამ დროისთვის არხილოსკალოში 2 330 მიწის ნაკვეთიდან 1300-ზე მეტია რეგისტრირებული. სოფელ არბოშიკში კი 2 417 ნაკვეთიდან -289. სამუშაოები გრძელდება და მისი დასრულება მაისის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

არხილოსკალოს საზოგადოებრივ ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიმართა. მან პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა იმ პროექტებზეც ისაუბრა, რომელიც მიმდინარე წელს არხილოსკალოში განხორციელდება: ,,მე არ ვისაუბრებ 50 000 და 100 000 ლარიან პროექტებზე. გეტყვით, რომ წელს დაიწყება ქედების ზონის სოფლების, ჭოეთისა და თავწყაროს გაზიფიცირების სამუშაოები , რაც , დამეთანხმებით, მართლაც საშვილიშვილო საქმეა, რადგან ქედებს არასდროს ჰქონია ბუნებრივი აირი. წელსვე არხილოსკალოსკალოს ექნება ახალი გზა , რომლის სამშენებლო სამუშაოებიც უკვე დაწყებულია და თქვენ გექნებათ როგორც ზემო ქედთან , ასევე ქვემო ქედთან დამაკავშირებელი საუკეთესო გზა. ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ისიც, რომ საბავშვო ბაღი გადავა ახალ შენობაში და თქვენი შვილები იქნებიან საუკეთესო პირობებში"- აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საპილოტე პროექტი წინასწარ შერჩეულ გეოგრაფიულ არეალებში , კერძოდ კი საქართველოს 12 დასახლებაში განახორციელა, მათ შორის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში- არხილოსკალოსა და არბოშიკში. პროექტის ფარგლებში, საკარმიდამო და სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა პროცედურა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ხელისუფლებუის დახმარებით, მოქალაქეთა ნაცვლად, უფასოდ შეასრულა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელება 2017 წლის 4 დეკემბერს დაიწყო და მაისის ბოლოს დასრულდება.

პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა ადგილობრივი განვითარების ჯგუფებმა პირველი ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გამართეს

ბათუმში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში გაიმართა ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG-ების) ორდღიანი სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი განვითარების ჯგუფების დაახლოება, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავება.

შეხვედრას ორმოცამდე მონაწილე ესწრებოდა: ბორჯომის, ლაგოდეხის, ყაზბეგის, ახალქალაქის, ხულოს, ქედას, თეთრიწყაროსა და დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრები და აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრის პირველ დღეს დამსწრეებმა ისაუბრეს პროექტის განვლილ და მიმდინარე ფაზასთან დაკავშირებით. ევროკავშირის ENPARD-ის პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციების — Mercy Corps, Care და PIN პროექტის მენეჯერებმა წარადგინეს პრეზენტაციები განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით და შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს პროგრამის პირველი ფაზიდან მიღებული გამოცდილება.

პრეზენტაციები მიმდინარე ფაზასთან დაკავშირებით ასევე წარადგინეს ENPARD-ის განმახორციელებელი ორგანიზაციების — GIPA, HEKS-EPER, CENN, Caritas (CCR), RDFG პროექტის მენეჯერებმაც. მათ ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე, LAG-ების ჩამოყალიბებაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე, LAG-ების რეგისტრაციაზე და ყველა იმ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სოფლის განვითარების პროექტების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

შეხვედრის მსვლელობისას ასევე შედგა ტელეხიდი სოფლის განვითარების ევროპული ასოციაციის (ELARD-ის) წარმომადგენლებთან. მათ შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს ევროპული LAG-ების გამოცდილება, მათი მუშაობის წესი, სტრუქტურა, ისაუბრეს აქტივობებზე, რომელსაც ახორციელებს ELARD და ქართული LAG-ების ასოციაციას გამოუცხადეს მხარდაჭერა.

შეხვედრის მეორე დღე დაეთმო ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაციის ჩამოყალიბებაზე მსჯელობას. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს LAG-ების ასოციაციის (GALAG) სტრუქტურა, მისი ფუნქციები, მომავალი საქმიანობა. LAG-ის წევრებმა იურისტთან კონსულტაციის შედეგად შეიმუშავეს GALAG-ის წესდება.

საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაცია (GALAG) იქნება ინფორმაციის გაცვლისა და სწავლების მთავარი არხი ქვეყნის მასშტაბით და ადვოკატირებას გაუწევს საზოგადოების მიერ მართულ ადგილობრივი განვითარების მიდგომას მნიშვნელოვან სამთავრობო და არასამთავრობო სუბიექტებთან და ის ხელს შეუწყობს საქართველოში ინტეგრირებული, მონაწილეობითი და მდგრადი სოფლის განვითარებას.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (**ENPARD**) საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის განვითარებას და სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი ხორნაბუჯი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.06.37.034	2443კვ.მ.	9000	10%	5%	100
2	სოფელი ხორნაბუჯი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. შენობის სრული რეაბილიტაციის პირობით 1(ერთი) წლის განმავლობაში (დემონტაჟის გარეშე)	52.06.34.027	400,0კვ.მ. (მიწა) 262,4 კვ.მ. (შენობა-ნაგებობა)	3500	10%	5%	100
3	ქ. დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ.N44	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	52.08.37.026	1110კვ.მ. (მიწა) 110,4 კვ.მ. (შენობა-ნაგებობა)	3500	10%	5%	100
4	სოფ. ფიროსმანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა(შენობის რეაბილიტაციის პირობით 1(ერთი) წლის განმავლობაში(დემონტაჟის გარეშე))	52.12.35.005	940კვ.მ. (მიწა) 336,89 კვ.მ. (შენობა-ნაგებობა)	1200	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა – 220101222; კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი); კოდი-300533325 (არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი. აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

არ ვწუწუნებ, მაგრამ... სიბერე ადვილი არ ყოფილა



ცხრა ართეული დასასრულს უახლოვდება, რა დრო გასულა!.. ის აღარა ვარ, რაც ვიყავიო, – ამბობს. რა თქმა უნდა, რამდენმა რამემ გაიარა, წავიდა ბავშვობა, სიყმაწვილე, მოწიფულობა, ხანდაზმულობა, მოხუცებულობა და აი, ღრმად მოხუცებულობის ეტაპიც დამდგარა.

მე ის 1971 წელს გავიცანი, რაიკავშირში მდივან-მემანქანედ მუშაობდა. თანამდებობა მაღალი არ ჰქნონდა, მაგრამ კონტაქტური და პრინციპული ხასიათის გამო საკმაო გავლენა ჰქონდა და ჭკუაც ეკითხებოდა. სულ მუდამ კოხტად და გემოვნებით ჩაცმულ-დახურული დადიოდა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ეს მისი ცხოვრების ყველაზე კარგი პერიოდი იყო, ჩვენ კი მოდით, ბავშვობიდან დავიწყოთ: ლამარა დეისაძე დაიბადა ქალაქ ბათუმში. მამა – ალექსანდრე, წარმოშობით ქუთაისიდან იყო, სპეციალობით აგრონომი მივლინებით ბათუმში მუშაობდა, იქ გაიცნო დიაკვნის ქალიშვილი ნადია ნინიძე და დაოჯახდა. პირველი ვაჟი შეეძინათ, ალექსანდრე დაარქვეს, შინაურობაში კი შურას ეძახდნენ. 5 წლის მერე ლამარა დაიბადა. 1932 წელს ნადია გარდაიცვალა და დაობლებული ბავშვები ბაბუამ და ბებიამ ქუთაისში გადაიყვანეს. მალე ალექსანდრე სამუშაოდ სიღნაღში გამოგზავნეს. თამბაქოს პლანტაციების წარმოებას ხელმძღვანელობდა ჯუგაანში, ტიბაანსა და ძველ ანაგაში. მეგობრებიც გაიჩინა და ორშვილიან ქვრივს ასევე ორშვილიანი ქალი ნადია ალადაშვილი გააცნეს, რომელსაც კარდენახელი მეუღლის აბრამ გველუკაშვილის გარდაცვალების შემდეგ ორი ვაჟი - გიორგი და ელგუჯა ჰყავდა გასაზრდელი. ისინი შეუღლდნენ და ოთხ ნართაულ ანუ მიყოლილ-მოყოფილ და-ძმებს ჯუსტალი და მარიკოც დაემატა. იზრდებოდა ერთ ჭერქვეშ, ერთ ლოგინსა და ჯამ-კოვზზე ექვსი ბავშვი და მათ ერთმანეთისაგან არავინ არჩევდა. ეკონომიურად უჭირდათ, მაგრამ მათი ეზო-კარიდან სულ სიცილი, სიმღერა და ჟრიამული ისმოდა. დიდხანს არ გაგრძელებულა ბედნიერება, 1940 წელს ალექსანდრე დეისაძე გარდაიცვალა და 6 ბავშვით ცალუღლად დარჩენილი ნადია, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქუთაისიდან ბიძამ ჩამოაკითხათ, შურას და ლამარას წაყვანა შესთავაზა დაქვრივებულ რძალს, მაგრამ უარი მიიღო;

- ქმარი თუ მიყვარდა, მისი შვილებიც უნდა მიყვარდესო, – თქვა და ბოლომდე ასე იყო. სულ მალე გოგის და ელგუჯასაც მოაკითხა ბიძამ ილო გველუკაშვილმა და სთხოვა დედას, ბიჭები გამატანე, შენ ცოდო ხარ, ამდენ ბავშავს როგორ გაუძღებიო. დედამ იყოყმანა , მაგრამ გადაწყვიტა: - გოგი უკვე მოზრდილია, (12-13 წლის იყო) უკეთესად გამიგებსო და ბიძას გაატანა დედაქალაქში. ამიტომ გოგი, თავის ბიძაშვილ გოგონასთან ერთად, თბილისში გაიზარდა. ილო ძია კარგი კაცი იყო, ცოლიც კეთილი ქალი ჰყავდა, მათ გოგის საუკეთესო განათლება მისცეს, უმაღლესიც დაამთავრებინეს და ცხოვრებაც ასწავლა. ამიტომ იყო იგი ასეთი დაფასებული მთელი რაიონისაგან, ბევრი თანამდებობა გაიარა და ყველგან წარმატებული იყო, საქმეში მკაცრი და მომთხოვნი, ხასიათით კი ლაღი და კონტაქტური რაიონის ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტი ადამიანი და შეუდარებელი თამადა გახლდათ. მე კი არასოდეს დამავიწყდება, რომ დედა ნადიამ თავისი ღვიძლი შვილი სხვის ლუკმაზე გასაზრდელად გაიმეტა, მას შეელია, ჩვენ, გერები, კი თავისთან დაგვიტოვა და დღე და ღამ მუშაობდა, რომ გამოვეკვებეთ, მეც ვეხმარებოდი უმცროსი და-ძმის მოვლაში, სულ ვცდილობდი, მისთვის შრომა შემემსუბუქებინა, მთელი გულით მიყვარდა, სხვანაირი და სხვა დედა ვერც წარმომედგინა, ამიტომ მეც ბოლომდე ვუერთგულე, მთელი წელი ინსულტიანი ჩემთან იწვა და ვუვლიდი, გოგი წამალ-ექიმს და სანოვაგეს არ გვაკლებდა, ჩვენ პირნათლად მოვიხადეთ ვალი დედის წინაშე, - გვიამბობს ქალბატონი ლამარა და არაერთ ეპიზოდს იხსენებს და-ძმებთან თუ დედასთან მიმართებაში.

- გვიამბეთ თქვენს მიერ განვლილი შრომითი გზის შესახებ.

- როცა ქართული საშუალო სკოლის რვა კლასი დავამთავრე, სკოლის დირექტორმა მიხეილ ჩინჩალაძემ კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანთან შალვა მოლაშვილთან მიმიყვანა და უთხრა: ძალიან შრომისმოყვარე ბავშვია, ოჯახს ეკონომიურად უჭირს, ამიტომ ურჩევნია, ღამის სკოლაში გააგძელოს სწავლა, აქ საბეჭდი მანქანის მოხმარება ასწავლეთ და დაასაქმეთ, რომ ორიოდ კაპიკი გაუჩნდესო. ამიყვანეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბაბულია ჯალიაშვილის სული, მისმა შთამომავლებმა კი გაიხარონ, გამრავლდნენ და ბედნიერები იყვნენ იმ სიკეთისათვის, რომელიც ბაბულიამ გამოიჩინა მაშინ ჩემს მიმართ. ის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მან ჩამომაყალიბა, როგორც მდივან-მემანქანე და როგორც ადამიანი. კარგახანს ვიმუშავე კომკავშირის რაიკომში, სადაც ბევრი რამ ვისწავლე. მერე რაიკავშირში განთავისუფლდა მდივან-მემანქანის ადგილი და, იმის გამო, რომ იქ ხელფასი უფრო მაღალი იყო, გადავედი. ასე დაიწყო ჩემი ორმოცწლიანი „მოღვაწეობა“ რაიკავშირში. იცით, რამდენი ხელმძღვანელი გამოვიცვალე? ეს ძალიან “შემოსავლიანი“ სკამი იყო და ბევრი ცდილობდა იქ მოხვედრას. ამიტომ ხშირად იცვლებოდნენ, ორ-სამ წელზე მეტს არცკი აჩერებდნენ ვინმეს. მე სამსახურში ნიკო კანდელაკმა მიმიღო, ის მალე გადაიყვანეს და დასავლეთ საქართველოდან გაბო მდივანი გადმოიყვანეს. მერე სულ ადგილობრივებს ასაქმებდნენ. ჯერ სოსო და არსენ ბაღაშვილებს ერგოთ ეს სკამი, შემდეგ – მიშა ალადაშვილს. მიშა ოთარ დათუკიშვილმა შეცვალა და ყველაზე დიდხანსაც მან შეინარჩუნა თანამდებობა. შემდეგ მარგო ჯანიაშვილი მოვიდა, ძალიან მკაცრი იყო, ის მიხეილ (გუგული) ალადაშვილმა შეცვალა, მერე ზაურ ჯამასპიშვილი იყო, მას იური დათუკიშვილი მოჰყვა, მერე გოგი დავითაშვილი მოვიდა, მე თემურ ზურიკაშვილის დროს გავედი პენსიაზე. არცერთ ხელმძღვანელთან არ გამჭირვებია მუშაობა იმიტომ, რომ ერთგული ვიყავ და დღე და ღამ ვმუშაობდი, მაშინ ყველა დოკუმენტი, გასაგზავნი თუ ადგილობრივ არქივში შესანახი, მანქანაზე იბეჭდებოდა. იმდენი საქმე მქონდა, შაბათ-კვირასაც კი მიწევდა ხშირად მუშაობა.. მართალია, ობლობით გავიზარდე, სიღარიბე და გაჭირვებაც ბევრი ვნახე, ჯაფაც პატარაობიდანვე არ მაკლდა, მაგრამ მაინც არ გავბოროტებულვარ, დედა ნადია სულ სიკეთისკენ მოგვიწოდებდა. სიკეთის კეთება ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. ოთარ დათუკიშვილი ასე მახასიათებდა: ლუკმას გამოიღებს პირიდან და სხვას გაუყოფს, ამ მხრივ არსენა ოძელაშვილია, მაგრამ, როცა საქმე პრინციპულ საკითხს ეხება, ოთარაანთ ქვრივი მასთან მოგონებაო,- ამბობს ქალბატონი ლამარა და მრავალ ფაქტთაგან რამდენიმე ეპიზოდს იხსენებს:

– მოთხოვნილება დიდი იყო ხარისხიან იმპორტულ საქონელზე, მაგრამ საკმარისი რაოდენობით არ შემოდიოდა, ძირითადად, საწყობიდანვე იყიდებოდა. თითქმის სულ ერთიდაიგივე თანამდებობის პირებს მიუწვდებოდათ ხელი. ერთხელაც, ერთმა ძალიან დიდმა კაცმა დარეკა და ოთარი იკითხა. გაფრთხილებული ვიყავი „აქ არა ვარო“ და მეც ვუპასუხე, ადგილზე არ გახლავთ, ქედების ზონაში წავიდა-მეთქი. – საწყობში რაღაც მიგიღიათ, რა არისო? – იკითხა მკაცრი ტონით. – კუბოებია, მაინც ვერაფრით გამაძღარხართ და ბარემ კუბოებიც დაიბევეთ-მეთქი, – ვუთხარი და ყურმილი სასწრაფოდ დავკიდე. ოთარი გაგიჟდა, ეს რა გააკეთე, გინდა ციხეში ამომხდეს სულიო!? იცოდნენ „ზემოთ“ ჩემი გაიჭერობის ამბავი, რომ ვერ გამაჩუმებდნენ და იმ დიდ კაცს ხმაც არ ამოუღია, არ გაუმჟღავნებია ჩვენი საუბარი. ისე წავიდა და მოკვდა, არ გაუგია, ოთარმაც თუ იცოდა ეს ამბავი. ოთარიც გადარჩა! ერთხელაც ლამის ბეწვით გაწყობილი ძვირფასი საგაზაფხულო პალტოები და ნორკის ბეწვით გაწყობილი ზამთრის პალტოები შემოვიდა. საგაზაფხულო პალტო ძალიან მჭირდებოდა და საწყობიდან მეც წამოვიღე. იმავე ღამეს გააქრეს ისე დაიტაცა უფროსობამ. ამბავმა გაჟონა, ვიღაცამ იჩივლა და ორი დღის შემდეგ შოთა ნათელაშვილი (ახალი დანიშნული იყო „ობეხედ“) მზა ტანსაცმლის სექციაში მივიდა, ფაქტურა მოითხოვა და იკითხა, ვინ შეიძინა ეს საქონელიო? გამყიდველმა შიშით ის გვარები ვერ დაასახელა და უთხრა: ლამარა დეისაძემ წაიღოო. დამიბარეს. დიახ, წავიღე-მეთქი, – ვუთხარი, მე ერთი ქალი ვარ, ერთი „პლაში“ წავიღე და საფასურიც გადავიხადე, თუ მაგარი ბიჭი ხარ, ერთმა კაცმა ცოლსა და სამ ცოლისდას ორივე პალტო რომ წაუღო და 8 ცალის საფასური კაპიკი არ გადაუხდია, იმას მოჰკითხე პასუხი-მეთქი. ვინ იყო იმ კაცის და მისთანების პასუხის მომთხოვნი, მკერდს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედლები უმშვენებდათ, ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. ბევრი დადებითი ჰქონდა იმ წყობას, ხალხი მასიურად მუშაობდა, შემოსავალი, მეტ-ნაკლებად, ყველა ოჯახს ჰქონდა, მაგრამ, როცა პარტიის რიგებში შესვლა 3 ათასი მანეთი გახდა, როცა თანამდებობას ქრთამის მიცემის გარეშე ვერ დაიკავებდი, როცა ზემოთ „წილის“ მიტანის გარეშე ამ თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდი, როცა ბინიდან და ავეჯიდან მოყოლებული სუნამოებსა და წიგნებსაც კი რაიკომი ანაწილებდა, უკვე იმ სისტემას ძირეული ცვლილება სჭირდებოდა, თუმცა, არა ასე დანგრევა, მიწასთან გასწორება და ხალხის გაღატაკება.

- თქვენ როგორ ცხოვრობთ ახლა, ქალბატონო ლამარა?

ცუდად. ხედავ, როგორი გასარემონტებელია ჩემი ერთოთახიანი ბინა, არა მაქვს ცხელი წყალი. 180 ლარი პენსია და 60 ლარი სოციალური დახმარება მაქვს, (დასანანია, რომ ზოგს ესეც არა აქვს), მაგრამ წამლის ფულად არ მყოფნია. მერე გადასახადები – გათბობის, წყლის, დენის.. ჩემი და მარიკო, ჩემი ძმისშვილები ლილი და ნელი რომ არ მპატრონობდნენ, ძალიან გამიჭირდებოდა. თავის დროზე ბანკში შეტანილი ფული დაგვეკარგა, დღევანდელ ფულს ბარაქა არა აქვს, ყველაფერი თანდათან ძვირდება, კორპუსში ვცხოვრობ, ერთი ღერი მწვანილიც კი საყიდელი მაქვს. ამ ზამთარს გათბობისთვის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ 100 ლარი მოგვცა, მადლობელი ვარ, მაგრამ რამდენი ვიშრომე, 50 წელზე მეტი შრომითი სტაჟი მაქვს და სათანადოდ არ დაგვიფასდა. საერთო პენსიას ნამსახურობის თითო წელზე თითო ლარი მაინც არ უნდა დაემატოს?! ხალხს გემოვნება და მოთხოვნილება გაეზარდა, შემოსავალი კი შეუმცირდა. ადრე ამდენი ტექნიკა არ იყო საჭირო, ახლა სარეცხის მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, კონდიციონერი, გათბობის სისტემა, გაზქურა, ტელეფონი, კომპიუტერი, ტელევიზორი და კიდევ რამდენი რამ ყოველდღიური მოხმარების საგნებია, ძალიან ცოტას თუ აქვს ასეთი კომფორტით სარგებლობის შესაძლებლობა. რა ქნას ისეთმა ოჯახმა, პენსიონერებიც რომ არ ჰყავთ, ახალგაზრდები არიან, სამსახური არ აქვთ და შვილები ჰყავთ გასაზრდელი?! როცა ამაზე ვფიქრობ, ჩემი თავის ჯავრი აღარ მაქვს, მე დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები, ჩვენი ხალხიც ხომ იმსახურებს ღირსეულ ცხოვრებას!

- რას ინატრებთ?

- ბევრი რამ არის საჭირო ადამიანის კარგად ყოფნისა და ბედნიერებისათვის, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძვირფასი მაინც მშვიდობაა. მე გავიარე დიდი სამამულო ომის 5 გაუსაძლისი წელი, 8 აგვისტოს ხანმოკლე, მაგრამ შემზარავი 5 დღე, ამიტომ, ჩემი აზრით, მშვიდობა ყველაზე მნიშვნელოვანია. მაგრამ მინდა, იმ იმედით დავტოვო ეს ქვეყანა, რომ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს და ჩვენი მომავალი თაობა მიიღებს იმ უდიდეს სიამოვნებას, რომელსაც, თავის დროზე, ჩვენ ვღებულობდით აფხაზეთის ზღვისპირა კურორტებზე სოხუმში, ბიჭვინთაში, გაგრაში ძალიან მიზერულ თანხაში, პროფკავშირების დახმარებით, დასვენების დროს. აქვე მინდა, დიდი მადლობა გითხრათ, რომ გამიხსენეთ, 90 წელი ცოტა არ არის. სიბერეს სიძნელეებიც ახლავს თან, არ ვწუწუნებ, მაგრამ ადვილი არ ყოფილა სიბერე.

-ქალბატონო ლამარა, მთელი ინტერვიუს მანძილზე თავს ვიკავებდი ამ შეკითხვისაგან, მაგრამ ბევრჯერ მიფიქრია ამაზე და მოკრძალებით მაინც მინდა, გკითხოთ, მშვენიერი ქალბატონი იყავით, ოჯახი რატომ არ შექმენით?

- არ მიყვარს ამაზე საუბარი, მაგრამ გეტყვით, რომ შეყვარებული მყავდა, ოჯახის შექმნას ვგეგმავდით, მაგრამ იმ ვაჟის დედამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ღარიბია, მზითევი არ ექნება, სახლში არ შემოვუშვებო. მაშინ კარგ მზითვად ითვლებოდა ნიკელის წყვილი საწოლი, გარდერობი და 3-4 ხელი ლოგინი თავის თეთრეულით, პირსაწმენდებით, სპილენძის ქვაბებით, თასებით და ტაშტებით. მე არაფერი გამაჩნდა. ჩემმა შეყვარებულმა დედის ზეწოლას ვერ გაუძლო და.. ძალიან დიდხანს გამყვა ეს ტრავმა, მერე და მერე ხანიც მომემატა, ჩემი თავის რჩენის საშუალება გამიჩნდა და აღარც მიფიქრია ამ საკითხზე. საერთოდ, ძალიან მეგობრული დამოკიდებულება მქონდა ყველასთან. სიმართლე გითხრათ, არც მინანია. ზოგს, შვილებითა და შვილიშვილებით სავსეს, არ ჰყავს იმდენი მიმხედავი, რამდენიც მე. სიმარტოვეს არა, მაგრამ უძლურებას კი ვუჩივი. ლოგინში არ ვწევარ, ჩემს თავს, ასე თუ ისე, ვუვლი, მაგრამ მაინც ძნელი ყოფილა სიბერე.

- კვლავაც მხნეობას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს გისურვებთ, ქალბატონო ლამარა, გილოცავთ დაბადების დღეს!

ნაირა გორაშვილი

ახალი სახელები

21 აპრილს, ლევან დავითის ძე კაკალაშვილი 17 წლის ხდება. ის არბოშიკის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. საუკეთესოდ სწავლობს, ათოსანია და ბევრი, ძალიან ბევრი რამ აინტერესებს, ცდილობს, ცოდნის ჰორიზონტი გააფართოვოს და გაამრავალფეროვნოს, რაც, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს მისი შემოქმედების მრავალმხრივობას. დიახ, შემოქმედება ვახსენე, ლევანი საკმაოდ საინტერესო მოთხრობებს წერს. ის ღრმა აზროვნება და მიგნებები, ძველის და ახლის შედარება-შეფასება, რომელიც მის მოთხრობებში იკითხება, აშკარად მეტყველებს მის ფსიქოლოგიურ წვდომასა და შემოქმედებით უნარზე. დინჯი, განონასწორებული, ბეჯითი და ახლის მაძიებელი,- ასე ახასიათებენ მას. ჯერჯერობით პროფესიის ძიების პროცესშია. არ იცის, რამდენად მყარი იქნება დღევანდელი მისი გატაცება, გახდეს სცენარისტი და კინორეჟისორი, გადაიღოს კინო, რომელზეც ბევრს ისაუბრებენ. გატაცებულია სპორტით, ყველაზე მეტად – ფეხბურთით. ძალიან უყვარს თანაკლასელები, მეგობრები, გამორჩეულად კი უმცროსი და, რომელზე მეურვეობაც თავის მოვალეობად მიაჩნია. ლევანი სოფელ მირზაანში დაიბადა, არასრული საშუალო განათლებაც იქ მიიღო, მაგრამ, იმის გამო, რომ მირზაანში საშუალო საჯარო სკოლა, უკვე რამდენი წელია, აღარ ფუნქციონირებს, იძულებულია, ყოველდღიურად, დედასთან ერთად, მეზობელ სოფელში იაროს. ქალბატონი ჯუნა ნატროშვილი არბოშიკის სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლის. დედა-შვილს ძალიან სწყდებათ გული, რომ ისეთ ძირძველ და მნიშვნელოვან სოფელში, როგორიც დიდი ნიკო ფიროსმანაშვილის სამშობლოა, სკოლა დაიხურა და 9 კლასის დამთავრების შემდეგ ბავშვებს სხვა სოფლებში უწევთ გადანაწილება.

ბოლოს, ისევ დავუბრუნდეთ ლევანის შემოქმედებით ცხოვრებას. მან 2015-16-17 წლებში, სამ წელიწადს ზედიზედ, მონაწილეობა მიიღო მხატვრული წერის რესპუბლიკურ კონკურსში „სენტენცია“ და სამივეჯერ ოქროს სერთიფიკატი დაიმსახურა. მიმდინარე - 2018 წლის 3 მარტს კი მას მიენიჭა საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „ამირანი“. ვულოცავთ ლევანს ამ წარმატებებს და დაბადების 17 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით ალმასვლას და ყველა ოცნებისა და მიზნის განხორციელებას.

ქვემოთ გთავაზობთ მის ერთ-ერთ მოთხრობას.

ნაირა გორაშვილი



ოცნება, მოგზაურობა, დაბრუნება

– „იცით, არსებობს განზომილებები, სიბრტყე, სივრცე, დრო და მრავალი სხვა, რომელსაც ჩვენი უბრალო, მოწოდებული ინფორმაციით გაჟღენთილი ტვინი ვერ აღიქვამს. ყველაზე საოცარი განზომილება დროა, რომელსაც მივყვებით, მაგრამ რა იქნება თუ დროის დინებას არ მივყვებით? წარმოიდგინეთ, დროში მოგზაურობთ, ამ დროს თქვენთვის რეალურად დრო არ გადის! რადგან დროის ხაზს ხართ გამოკიდებული და რომელ ეპოქაშიც გინდათ იქ იქნებით. მოგზაურობამდე ატმოსფეროს ან კოსმოსის საიდუმლო სიხშირეზე იმყოფებით, სადაც დრო არ გადის. თუ დრო უძრავია, მაშინ ადამიანიც უკვდავია! ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, რათქმაუნდა. დღევანდელი ლექცია დასრულებულია! – თქვა პროფესორმა, გამოთვლებით გათეთრებული მწვანე დაფა გაასუფთავა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა. საათს დახედა, უკვე სამი წელია, 1972 წლის ამერიკაშია გაჭედილი. სინამდვილეში ის 2031 წელს მოღვაწეობდა. დროში სამოგზაურო ხომალდიც იმ დროს შექმნა და აგერ უკვე 50 წელია, რაც მოგზაურობს და როცა დაბრუნდება თავის დროში, ვერავინ შეამჩნევს, რომ წასული იყო. მან იმოგზაურა ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში და თითქმის ყველა ეპოქაში, მაგრამ მისი ოცნება მაინც 1972 წლის ამერიკა იყო. ამ დროს ხომ მას გენიოსად აღიარებენ. ისეთ რაღაცეებს გამოიგონებს, რაც მხოლოდ 10 ან 20 წლის შემდეგ გახდება ცნობილი მისი ჩარევის გარეშე. მან თითქოს ოცნება აიხდინა, მაგრამ შინაგანად იტანჯება, რაღაც ხმა ღრღნის მის სულს. მეგობრებიც ენატრება. მიუხედავად მისი უმნიშვნელო როლისა 2031 წელს, მაინც ენატრება იქაურობა. არადა, ფიქრობდა, გამგზავრებით ბავშვობის ოცნებას აიხდენდა, მაგრამ არა.

რა უცნაური ბუნებისაა ადამიანი, რაღაცას ჩაიფიქრებს, შემდეგ ყველაფერს აკეთებს, რათა ჩაფიქრებული აიხდინოს და როცა აიხდენს, ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ეს ახდენა უკვე მომაბეზრებელი იყოს. საწადელის ასრულების შემდეგ ადამიანი „კაიფს“ კარგავს და ახალ მიზანს ისახავს. ბოლოს ყველა მოგზაური ხვდება, რომ „ელდორადო“ არ არსებობს და ერთადერთი საოცნებო ადგილი სამშობლოა. პროფესორის შემთხვევაში 2031 წელია ის დრო, რომელიც, რეალურად, საოცნებოა. მაშინ რატომ არ ბრუნდება? მას ხომ რეაქტორი გაუთავდა, რომელიც სინათლის სისწრაფეზე სწრაფად ამოძრავებს ხომალდს. ეს რეაქტორი 2021 წელს შექმნეს, ბენზოლის ატომების მემილიარდებამდე დაშლით და დედამიწის ქერქის მიღმა აღმოჩენილი ლურჯი ქვის საოცარი ქიმიური შემადგენლობით. 1972 წელს კი ამ რეაქტორის დამზადება შეუძლებელია. პროფესორი დროში გაიჭედა. ყოველდღე წუხს და ფიქრობს, რა ცდომილებას გამოიწვევს მისი აქ ყოფნა ისტორიაზე. როცა ის 2031 წელს ცხოვრობდა და საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა, ფიქრობდა ხოლმე: „რა უბედური ვარ, არ შემიძლია დროში მოგზაურობა, ეს ხომ არ არის ჩემი საუკუნე! ჩემი ადგილი წარსულშია“! ახლა კი თითქმის სულ მარტოა და უფრო ხშირად ფიქრობს: “ რა უბედური ვარ! შევქმენი ის, რაზეც ბავშობიდან ვოცნებობდი, იქ ვარ, სადაც მინდოდა, მაგრამ ბედნიერი არ ვარ! რაღა უნდა გავაკეთო, რომ შინაგანი ტკივილი არ ვიგრძნოო!?“

პროფესორი ყველაზე მარტოსული არსებაა 1972 წლის მსოფლიოში. გრძნობს, რომ მისი ადგილი აქ არაა, მაგრამ სადაა? ბუნება მხოლოდ ასეთ გენიებს ჩაგრავს. შენ ამ სამყაროს არცერთი ეპოქისთვის არ ხარ შექმნილი, პროფესორო! საცოდავი ხარ და შენზე გაუნათლებლები თავს გამეტებენ, ლოთები და ნარკომანები დაგცინებენ, რადგან იტყვი, რომ აქაურობისთვის ცოდოა შენი ტვინი. გიმტრობენ, რადგან პატიოსნად ცხოვრობ. დაგწვავენ კოცონზე, რადგან იტყვი, რომ დროში მოგზაურობა შესაძლებელია! განსხვავებულ აზრს შეეწინააღმდეგებიან და როცა მოგკლავენ, როცა ისტორიის ხაზიდან გაგაქრობენ, მერე მიხვდებიან, რომ მართალი იყავი. მაგრამ უკვე გვიანი იქნება, იქიდან დროის მანქანაც ვერ დაგაბრუნებს. თავი დაანებე სამყაროს შეცვლის მცდელობას! უბრალოდ გაჩერდი. ხალხი მაინც არ მიიღებს შენი შრომის ნაყოფს.

მკითხველო, წარმოიდგინეთ თავი პროფესორის ადგილას, იცით, რომ ველარასდროს დაბრუნდებით თქვენს დროში, მაშინ როგორ მოიქცევით? პროფესორი კი შემდეგნაირად მოიქცა: დილით ლექციაზე მოსულ სტუდენტებს პირველ პარაგრაფზე გადაშლა სთხოვა, შემდეგ იკითხა: - ვინ მეტყვის რა არის თავისუფალი ვარდნა?

აუდიტორიაში შეკრებილი ახალგაზრდები აქეთ-იქით იყურებოდნენ, ახსნა ყველამ იცოდა, მაგრამ მოულოდნელობისაგან ტვინები გაეყინათ.

- მე აგიხსნით! - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო პროფესორმა. ფანჯარა გამოაღო და მოქნილი მოძრაობით რაფაზე ახტა, ხელები გაშალა, ღრმად ჩაისუნთქა და... გადახტა!

არადა, შემეძლო, არ მომეკლა პროფესორი, შემეძლო, ყველაფერი კარგად დამემთავრებინა, მაგრამ რეალურად ხომ ცხოვრება სასტიკია, მიუხედავად მისი სიამისა. აქეთ-იქით გამოგზაურებს, უაზრო ილუზიებით გაგაბრუებს და გაიძულებს, იოცნებო. ხოლო ცხოვრების იმ მომენტში, როცა აანალიზებ, რომ მდინარის დინების საწინააღმდეგოდ უნდა გაცურო და ერთადერთი რეალური ოცნება უბრალოდ სახლში დაბრუნებით უნდა აიხდინო, სწორედ ამ დროს გააააქტიურებს ცხოვრება მის ყველაზე ძლიერ იარაღს, განსაცდელს, რომელიც სულ თან დაგდევს, მაგრამ არ ჩანს. ის განსაცდელს გამოგზავნის, რათა საბოლოო ოცნება ვერ აიხდინო.

დედამიწაზე ერთადერთი ჭეშმარიტებაა: ოცნება, მოგზაურობა და დაბრუნება. თუ ამ ჭეშმარიტების სამივე ეტაპს გაივლი, მაშინ ბედნიერი იქნები სამუდამოდ, რადგან თავიდან ბოლომდე შეიგრძნობ ცხოვრების სიტკბოს, მაგრამ თუ ვერ მოახერხებ გავლას, მაშინ...

ირგვლივ ცივა, თოვს, თოვს... კაცი მინუს უსასრულობიდან წამოსულ დათოვლილ გზაზე დგას და პლიუს უსასრულობისკენ იყურება. ირგვლივ ყველაფერი თეთრია. აქ დრო არ იძვრის, საით წავა კაცი მოლეკულების გაყინვამდე? არჩევანი თქვენზე მომინდვია... ყოველივე მაინც უაზრო სიტყვების რახარუხია. მე კი „გამიჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ“.

ლევან კაკალაშვილი

„მან-სან-კანი – 2018“

19 აპრილს ხელოვნების სკოლის სააქტო დარბაზში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით „მან-სან-კანი - 2018“ ფინალური ტური გაიმართა. ერთმანეთს დასკვნით ნაწილში ზემო ქედის №1 საჯარო სკოლისა და დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდები შეხვდნენ. ზემო ქედის სკოლა ნაკრები გუნდით იყო წარმოდგენილი, №1 საჯარო სკოლას მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. ღონისძიებას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური წრის ხელმძღვანელი თამარ აბულაძე უძღვებოდა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ:საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი, გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ხელმძღვანელი თამარ თამაზაშვილი, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე თათია ბენაშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ლაპიაშვილი და ამავე სახლის პედაგოგი ლია ნატროშვილი.

– ბავშვების ერთმანეთთან დაახლოვება, ინტელექტუალური უნარების წარმოჩენა, კრეატიულობის გამოვლენა, აზრთა ურთიერთგაცვლა და კონკურენტუნარიანი გარემოს ხელშეწყობა, ეს მცირე ჩამონათვალია იმ სიკეთეთაგან, რაც ამ სახის ღონისძიებებს მოჰყვება შედეგად. თითოეულ გუნდს ხუთი დავალება ჰქონდა შესასრულებელი.

1. მისალმება. 2. ხუთი ანდაზა (სახუმარო ვარიანტით). 3.ერთი სიმღერის კონკურსი. 4. იუმორისტული სკეტჩი. 5. ექსპრომტი (3 კითხვიანი დავალებები)

თამაში თავიდანვე თანაბარი უპირატესობით წარიმართა, ხან ერთი გუნდი უსწრებდა, ხან მეორე, თუმცა საბოლოო გამარჯვება ქალაქის N1 საჯარო სკოლას ხვდა წილად ანგარიშით 117–111.

დასასრულს თითოეული მონაწილე დაჯილდოვდა სიგელებით და მადლობის ფურცლებით, ხოლო ზაფხულის დასაწყისში მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით , ზონალური და ფინალური ტურის გამარჯვებულები ექსკურსიაზე გაეგზავნებიან.

მხიარული, სახალისო და საინტერესო ღონისძიება, გულშემატკივრებით სავსე დარბაზში, ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა.

ელზა ხარაშვილი

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება

20 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება. სამიზნე ჯგუფებს საბავშვო ბაღების მეთოდისტები და აღმზრდელები წარმოადგენდნენ მუნიციპალიტეტის ჩვიდმეტივე საბავშვო ბაღიდან.

ტრენერები გახლდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლები **ნათია სარალიძე** და **მაია გოგიბერიძე.**

მათ სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის გამართეს ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ბაღების ოცმა წარმომადგენელმა.

ტრენინგი მოიცავდა შემდეგ გარემოსდაცვით თემებს:

- **ბიომრავალფეროვნება ჩვენს გარშემო;**
- **წყლისა და ენერგიის დაზოგვა;**
- **ნარჩენების მართვა;**

ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში, ცენტრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის - ,,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ და დამხმარე მასალა (აუდიოჩანაწერი), ასევე ტრენინგში აქტიური მონაწილეობისთვის გადაეცათ სერთიფიკატები.

სახელმძღვანელოს წარმატებით დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, უკვე გადამზადდა ქ. თბილისის, ქ. თელავის, ასევე თელავის, გურჯაანის, ახმეტის, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის 391 მეთოდისტი და აღმზრდელი. ბოლოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტით დაასრულეს კახეთის ტურნე და სურვილი გამოთქვეს, დარჩენილ პერიოდში მოასწრონ აღმზრდელებმა სასკოლო ასაკის ბავშვებთან სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალების გაცნობა-განხილვა.

სახელმძღვანელოს წარმატებით დანერგვის შემთხვევაში მივიღებთ შედეგს:

1.ჩვენს ბავშვებს ეცოდინებათ ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, თუ რა სარგებელი მოაქვთ მცენარეებსა და ცხოველებს ადამიანისთვის და, შესაბამისად, გამოიჩენენ მზრუნველობას მცენარეებისა და ცხოველების მიმართ.

2. სწავლობენ ზრუნვას გარემოზე, უფრთხილდებიან ბუნებრივ რესურსებს, აცნობიერებენ ენერგიისა და წყლის დაზოგვის მნიშვნელობას, შესაბამისად, გამოიმუშავებენ ქცევის წესებს წყლისა და ენერგიის დაზოგვასთან მიმართებაში.

3. არ აბინძურებს გარემოს და ესმის ამ მხრივ გარემოზე ზრუნვის დადებითი შედეგი და აუცილებლობა, იცავს ქცევის წესებს, რათა არ დააბინძუროს გარემო. აცნობიერებს , რომ დაბინძურებული ტერიტორიები საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას.

სახელმძღვანელო წარმატებით დაინერგა საქართველოს 300-მდე საბავშვო ბაგა-ბაღში და იგი არა მხოლოდ ბავშვის ცალკეული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, არამედ მისი პიროვნული ზრდის ხელშეწყობაზეც.

ტრენინგის დასასრულს გავესაუბრეთ ქალაქის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის პედაგოგს **დალი მაძღარაშვილს:**

– ჩემთვის, როგორც ერთი პედაგოგისთვის, საინტერესო სიახლე იყო. ის, რაც მოვისმინე დღეს, შემიძლია, გამოვიყენო, როგორც პროფესიულ ჭრილში, ისე პირად ცხოვრებაში. პირველ შემთხვევაში, მისასალმებელია, ბავშვები ადრეულ ასაკშივე რომ იწყებენ იმის გაცნობიერებას, გარემოს დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რომაა დღევანდელ ცხოვრებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში, თითოეული ჩვენთაგანის ვალია, ვიდრე ვინმეს მოვუწოდებდეთ ამ საკითხზე და ვასწავლიდეთ, თვითონ ვიყოთ ამის განმხორციელებლები. ჩვენს ბაღში გვაქვს საბუნებისმეტყველო ცენტრი, რომელსაც დღეს მიემატა კიდევ ერთი განსახილველი თემა, რასაც ჰქვია **„გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.“** ეს იყო დღევანდელი სიახლე და მე ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ტრენინგით, ერთი სული მაქვს, როდის შევუდგებით ამ ყველაფრის გადაცემას ბავშვებისთვის.

ტრენინგის ორგანიზატორი გახლდათ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი **მაია ხუმარაშვილი.**

ელზა ხარაშვილი

ინტერვიუ ევროპის კოსმოსური სააგენტოს ESA/ESTEC/ Space Expo -ის ერთადერთ ქართველ თანამშრომელთან

„მზის სხივებმა ჩვენამდე, დედამინამდე რომ მოაღწიოს, დაახლოებით 8,5 წუთი სჭირდება, მეორე უახლოესი მეზობელი ვარსკვლავიდან ჩვენამდე სხივების მოღწევას დაახლოებით 4 წელიწადი სჭირდება. ამ ვარსკვლავს პროქსიმა კენტავრი ჰქვია. სამყაროში მილიარდობით ვარსკვლავია, რომელთა სხივებს ჩვენამდე მოსაღწევად ათეულობით, ასეულობით, ათასეულობით წელი სჭირდება, ანუ ჩვენ შორის მანძილი, შესაბამისად, ათეულობით, ასეულობით, ათასეულობით სინათლის წელიწადია. აი, რატომ უნდა გავუფრთხილდეთ და დავაფასოთ დრო, ერთმანეთი და ჩვენი გაელვება-ცხოვრება აქ და ახლა, ამ სამყაროში და დროში, ანუ აწმყოში, რომელშიც ვცხოვრობთ და სადაც ეს შეგვიძლია...“ - რამდენიმე დღის წინ ამ სიტყვების ავტორთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. გალელი დალი უბილავა-დე გრააფი ევროპის კოსმოსური სააგენტოს ESA/ESTEC-ის ერთადერთი ქართველი თანამშრომელია. მას მსოფლიოს წამყვანი კოსმოსური სააგენტოებიდან ერთ-ერთში, ევროპის კოსმოსური სააგენტოს ვიზიტორთა ცენტრში **(Space Expo),** თანამედროვე კოსმოსური პროგრამების კურსი მიჰყავს. კოსმოსსა და თანამედროვე სამყაროზე მკითხველს ევროპის კოსმოსური საგენტოდან თავად უამბობს.

როგორ დავბრუნდეთ წარსულში

- რა არის დრო? სად მიდის წარსული? ეს გამოცანაა ყველა ეპოქის მეცნიერისთვის. ვეგა კიდევ ერთი მეზობელი ვარსკვლავია, რომელიც ჩვენგან დაახლოებით 25 სინათლის წელიწადით არის

დაშორებული. თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ შეგვიძლია ვეგაზე, უფრო სწორად, მის რომელიმე პლანეტაზე ვიყოთ ახლა და იქიდან უძლიერესი ტელესკოპით დავაკვირდეთ დედამინას, ან, სულაც, დავუშვათ, რომ იმ პლანეტის ჩვენზე ბევრად განვითარებული ბინადრები გვაკვირდებიან. ეს ნიშნავს, რომ შეგვეძლებოდა (ან მათ შეეძლებოდათ) 25 წლის წინანდელი დედამიწის დანახვა. მაგალითად, 90-იანი წლების საქართველოს, ანუ ჩვენი წარსულის დანახვა. რაც უფრო შორი ვარსკვლავიდან დავაკვირდებოდით დედამინას, მით უფრო შორეულ წარსულს დავინახავდით... ანუ შესაძლებელი იქნებოდა დროში შესაბამისად დაშორებული ძველი ცივილიზაციების დანახვაც. წარსული, ანუ ჩვენი გაგებით ძველი ინფორმაცია, არ იკარგება, ის უსასრულო სამყაროში იფანტება, მოძრაობს... არ არის გამორიცხული, რომელიღაც პლანეტიდან მაღალგანვითარებული ცივილიზაციები ვთქვათ, ჩვენს ბავშვობას აკვირდებოდნენ. ან ვინ იცის, უმაღლესი ტექნიკითა და ზუსტი გამოთვლებით იქნებ ოდესმე შევძლოთ სხვა გალაქტიკიდან საკუთარი წარსულის დანახვა. ჯერჯერობით ჩვენი ცოდნა სამყაროზე, რომელიც დაახლოებით 14 მილიარდი წლისაა, მინიმალურია, სულ რაღაც 3-4%-ს შეადგენს. ანუ მთელი 96-97% აღმოჩენებისა, ჯერაც მომავალშია... ჩვენი ცხოვრება სამყაროს დროისა და სივრცის განზომილებებში გაელვებასავით მოკლეა. ასე რომ, გავუფრთხილდეთ და დავაფასოთ დრო, ერთმანეთი და ჩვენი გაელვება-ცხოვრება ამ სამყაროში.

მარსი

მარსი დედამიწაზე დაახლოებით ორჯერ პატარა პლანეტაა, ყველაზე მაღალი ტემპერატურა +21, ხოლო დაბალი – 80 გრადუს ცელსიუსამდე მერყეობს. ჩვენგან მარსამდე უმოკლესი მანძილი 54 მილიონი კილომეტრია. ფობოსი და დეიმოსი მარსის მთვარეებია. მარსის წელიწადი დედამიწის წელიწადზე დაახლოებით ორჯერ გრძელია (687 დღე). ჟანგბადის შემცველობა მარსის ატმოსფეროში 1%-ც არ არის (ზუსტად 0,13%-ია, დედამიწის ატმოსფეროში კი - დაახლოებით 20%). მარსის ზეცა არა ცისფერი, არამედ მქრქალი ვარდისფერია. მარსზე 300-ჯერ მეტი რადიაციაა, დედამიწასთან შედარებით. მოკლედ, ექსტრემალური პირობებია, მაგრამ ჩვენი ტექნიკისთვის ხელმისაწვდომ სამყაროში მარსი ერთადერთი პლანეტაა, სადაც ძალიან რთულია, მაგრამ მაინც შესაძლებელია ფეხი მოიკიდოს ადამიანმა. ეს ურთულესი და უძვირესი ამოცანაა, მაგრამ – შესაძლებელი.

დედამიწაზე გაუსაძლისი კლიმატური პირობების შემთხვევაში და სამყაროში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის გამო, (სავარაუდოდ, მილიონობით წლების შემდეგ) არის მოსალოდნელი მარსს შევაფაროთ თავი. არადა, დედამიწის გრავიტაციასთან ადაპტირებულ ადამიანებს ეს ძალიან გაგვიჭირდება. უფრო სწორად, უწონობას ადამიანის ორგანიზმი შედარებით ადვილად ეჩვევა, მაგრამ შემდეგ დედამიწაზე დაბრუნება, ანუ დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლისთანავე ორგანიზმისთვის უმძიმესი პროცესები იწყება... უწონობა ერთგვარი ნირვანაა, რომელმაც საოცრად სასიამოვნო ჩათრევა იცის და თუ არ ებრძოლე, ანუ დღეში 2-3 საათი არ ივარჯიშე, უკან დაბრუნებისას, დედამიწაზე ვერასოდეს ვერ გაივლი!.. სავარაუდოდ, მარსზე მცხოვრები თაობისთვის დედამიწაზე დაბრუნება შეუძლებელი ან მათი ჯანმრთელობისთვის ძალიან მძიმე იქნება. მიუხედავად ამისა, მარსზე ცხოვრება ურთულესი, უძვირესი, მაგრამ შესაძლებელი მისიაა. ამჟამად ერთი ადამიანის მარსზე გამგზავრებისთვის დაახლოებით 10 მილიარდი დოლარია გათვლილი, ანუ NASA-ს ამჟამინდელი ბიუჯეტით მხოლოდ 2-3 კაცის გამგზავრებაა შესაძლებელი.

ილონ მასკი, ამერიკელი მილიარდერი, „Space X“-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, აპირებს უაღრესად ამბიციური პროექტის განხორციელებას და უახლოეს წლებში 300 კაცის 200 ტონა ტვირთთან ერთად (საკვები, წყალი, ჟანგბადი, საწვავი) გამგზავრებას წითელ პლანეტაზე. აი, უკან, დედამიწაზე დაბრუნების საკითხი, ჯერჯერობით, ტექნიკურად გადაუწყვეტელი პრობლემაა. რა თქმა უნდა, არც ევროპა და რუსეთი არიან გულხელდაკრეფილი და მუშაობენ მარსის ათვისების გეგმებზე.

მოკლე სტატისტიკა მარსზე ექსპედიციების შესახებ ასეთია: ბოლო 30 წლის განმავლობაში მარსზე 38 ექსპედიცია (არაპილოტირებული) ჩაატარეს: 18 - სსრკ-მა, მოგვიანებით, რუსეთმა (ROSKOSMOS), 18 - ამერიკელებმა (NASA), 1 - იაპონიამ (JAXA) და 1- ევროპამ (ESA). 14 მათგანი წარმატებით დასრულდა. 2020 წელს იგეგმება ევროპის კოსმოსური სააგენტოს პროგრამა ეგზომარსის მეორე მისიის გაშვება.

კოსმოსი და მსოფლიო

დღევანდელ მსოფლიოში ხუთი წამყვანი კოსმოსური სააგენტოა,

რომლებიც სხვადასხვა კოსმოსური პროგრამებით არიან დაკავებული, თუმცა, დღეს კოსმოსი აღარ არის კონკურენციის სფერო, უკვე თანამშრომლობის სფეროა. კონკურენციის საგანი უფრო გასულ საუკუნეში იყო, როდესაც მაშინდელი საბჭოთა კავშირი და ამერიკა ერთმანეთს კოსმოსის ათვისებაში ეჯიბრებოდნენ, დღეს კი თანამშრომლობენ: ამერიკა, ევროპა, რუსეთი, იაპონია და კანადა - ეს არის მსოფლიოს 5 წამყვანი კოსმოსური სააგენტო. მეექვსე ჩინეთია, რომელიც დამოუკიდებლად საქმიანობს კოსმოსის ასათვისებლად და თავადვე აფინანსებს საკუთარ პროგრამებს. კოსმოსის ათვისება უდიდეს თანხებთანაა დაკავშირებული...

დღეს, უფრო სწორად, 2011 წლიდან, პილოტირებული ეკიპაჟების გაშვება რუსეთის მეშვეობით ხდება. მსოფლიოში არსებული ყველა კოსმოსური სააგენტოს ასტრონავტები, ჩინელების გარდა, 60 წლის წინათ რუსი მეცნიერის, სერგეი კოროლიოვის მიერ შექმნილი “სოიუზ”-კაფსულით მიდიან კოსმოსურ სადგურზე და ბრუნდებიან უკან – დედამიწაზე. რაც შეეხება არაპილოტირებულ მისიებს, მაგალითად, სატვირთო რაკეტების გაგზავნას კოსმოსურ სადგურზე, სატელიტის განთავსებას ორბიტაზე და ა.შ., მათ სხვადასხვა წამყვანი კოსმოსური ორგანიზაცია ახორციელებს.

ჩვენი ამ წლის ერთ-ერთი მთავარი პროექტია “ბეპი-კოლომბო” - მერკურიზე გავგზავნით ჩვენი, ევროპული და იაპონური კოსმოსური ორგანიზაციების თანამშრომლობის პროექტს, სატელიტ””ბეპი-კოლომბოს”. ის უძლიერესი იონური ძრავების მეშვეობით 7 წელი მოუნდება მერკურის ორბიტამდე მიღწევას და იქიდან შეისწავლის მზეს, თავად მერკურის, მის განსაკუთრებულ ელექტრომაგნიტურ ველს, მოგვაწვდის მეტ ინფორმაციას ჩვენი მზის სისტემის ევოლუციაზე.

საიდუმლო ინსტიგუბი სოხუმში

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში დაწყებული კოსმოსური შეჯიბრება იყო მაშინდელი მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების, სსრკ-სა და აშშ-ს შორის კონკურენციის საგანი, ერთმანეთისთვის ძლიერების დემონსტრირება. დღეს სწორედ ამ დიდი შეჯიბრების თუ „ცივი ომის“ „წყალობით“ გვაქვს კოსმოსური მეცნიერება...

მეორე მსოფლიო ომისდროინდელ გერმანიას უძლიერესი ბალისტიკური რაკეტები ჰქონდა. როგორც კი გერმანია დამარცხდა, საბჭოთა კავშირმა და აშშ-მ გადაინაწილეს წამყვანი გერმანელი მეცნიერები. დაახლოებით 7 000 გერმანელი მეცნიერი ჩამოიყვანეს საბჭოთა კავშირში. რამდენიმე წელიწადში სოხუმში, აგუძერაში, დაარსდა ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტი - სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, სადაც სწორედ გერმანიიდან მიგრირებული მეცნიერების ნაწილი მუშაობდა შორი მანძილის ახალი ტიპის ბალისტიკური რაკეტების შექმნის თეორიულ მხარეზე, შეიძლება ითქვას, მაშინდელი კოსმოსური კვლევების ერთ-ერთ ფუნდამენტურ სეგმენტზე. ეს იმდენად საიდუმლო ობიექტი იყო, რომ არანაირ რუკაზე მისი ადგილმდებარეობა არ იყო მითითებული. დასანანია, რომ 1990 წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო, დღევანდელ სოხუმში, ეს ცნობილი ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აღარ ფუნქციონირებს.

ვისურვებდი, რომ ქართველი საზოგადოება მეტად იყოს ინფორმირებული კოსმოსთან დაკავშირებულ მსოფლიო პროცესებზე და ამავე დროს, სახელმწიფო ხელს უწყობდეს ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს.

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია

დღეს, ისე როგორც არასდროს, ჯანსაღი თაობის სწორი ფიზიკური აღზრდის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა ქვეყანაში და ეს სწორიცაა. დევიზი, „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, ჩვენს ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან და გამოწვევებთან მიმართებაში, სწორედ რომ, დროულია. მივედით იმ დასკვნამდე, რომ ფიზიკური აღზრდა—განათლებისა და სპორტის განვითარების ეროვნული სტრატეგიის აუცილებელი ქვაკუთხედია.

სწორედ ეს მიზანი დავინახე ქ. დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღში ამ დღეებში გამართულ მორიგ ღონისძიებაზე სახელწოდებით „მხიარული სტარტები“, რომელსაც 5-6 წლიანი აღსაზრდელების ჯგუფის პედაგოგი ქეთევან გიგოლაშვილი და მისი თანაშემწე ეკა წიკლაური ხელმძღვანელობდნენ. გამორჩეული პროგრამა, გამორჩეული სასტარტო ნომრები და ბევშვების თუ მშობლების არაჩვეულებრივი ჩართულობა, მეტყველებდა იმაზე, რომ პატარების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების სტილი ნამდვილად ჰაერივით სჭირდება ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს და ის ყოველთვის გამართლებული იქნება.

მუსიკალური გაფორმება, შეჯიბრისთვის მომზადებული სპეციალური მასალები და მისი გაფორმება, ბავშვების გუნდურობის უნარ-ჩვევები და მათი გულზე მიმაგრებული ემბლემები, ცხადად მეტყველებდა პედაგოგის ორიგინალობაზე. ზოგადად, მინდა აღვნიშნო: რამდენჯერმე დავესწარი ქეთევან გიგოლაშვილის ღონისძიებას და ყოველთვის აღფრთოვანებაში მოვედი. მას აქვს გამორჩეულად დახვეწილი, მოწესრიგებული პედაგოგიური მიდგომები ბავშვთა თამაშებში. შევყურებდი მის მონდომებას და ვფიქრობდი, აი, როგორი პედაგოგები უნდა ჯილდოვდებოდნენ, როგორი ენთუზიაზმი უნდა წახალისდეს სახელმწიფოსგან ჯილდოებით, მადლობის სიგელებით, რათა მას მრავალმა მიბაძოს, რათა ყველა ბავშვს უხაროდეს ბაღში წასვლა, ყველა პედაგოგს მიუხაროდეს სამსახურში. ვფიქრობდი იმასაც, რა შრომასაც ბაღის პედაგოგები ეწევიან, მათი ანაზღაურება, ნამდვილად, არაადეკვატურია და მათ მეტი დაფასება სჭირდებათ.

„მხიარული სტარტების“ ორი გუნდი – წითელ მაისურებში გამოწყობილი „ვარსკვლავები“ და თეთრ მაისურებში ჩაცმული „მზეები“, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ, საქართველოს ჰიმნის დასრულებისთანავე, მათ სასტარტო პროგრამის ყველა ნომერი სანიმუშაოდ შეასრულეს, გაძვრნენ მილებში და შემოურბინეს ძელს, ააშენეს სახლი, ბადბიქტონის ჩოგანის და მისი ბურთის თანხლებით შემოურბინეს წრიულად ხვეულებს, გადაივლეს ტანზე რგოლი და მივიდნენ სასტარტო მანძილამდე, ამოიცვეს ტანზე ტომრები და ხტუნვით მიირბინეს ძელამდე. საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი გახლდათ თამაშები, რომელმაც ოვაციებით მშობლებიც აიყოლია. შეჯიბრში პედაგოგებმა აქტიურად ჩართეს მშობლებიც, რომლებიც გუნდების მიხედვით შეაჯიბრეს, გააბერინეს ბუშტები, ჩაიდნებიდან დააღვევინეს ნახევარი ლიტრი წყალი და ხელების გარეშე ღამბაქიდან მიართმევინეს ბანანი. მართლაც დაძაბული და ძალიან ხალისიანი ორთაბრძოლა თოკის გაწევით დასრულდა. შეხვედრის დასასრულს ჟიურმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბაგა-ბაღის დირექტორი მანანა ტოკლიკიშვილი, შეაფასა „მხიარული სტარტები“ და დასძინა, რომ სპორტულ აღზრდას ვერაფერი ჩაანაცვლებს ბავშვის უნარჩვევების და მის ფიზიკურსა, თუ გონებრივ განვითარებაში. მან დადებითად შეაფასა ქეთევან გიგოლაშვილის და ეკა წიკლაურის მუშაობა, გამარჯვებულად მეგობრობა გამოაცხადა და აღსაზღდელები და მონაწილე მშობლები საგანგებო სიგელებით დააჯილდოვა.

ქეთევან გიგოლაშვილმა კი თავის მოსწავლეებს საკუთარი ხელით დამზადებული ოქროსფერი სიგელები დაჰკიდა გულზე.

საკმაოდ დატვირთული და დაძაბული კვირის ბოლოს პატარებმა შეძლეს და სახეზე არათუ ღიმილი მომგვარეს, არამედ ძალიან დადებითი მუხტიც დამიტოვეს გულში. ახლაღა მივხვდი, რატომ არ ბერდებიან პედაგოგები და რატომ არიან მუდამ ახალგაზრდები, თურმე პატარები უდიდეს ენერგიას სჩუქნიან, ისინი ხომ ჩვენი სიცოცხლის ელექსირები არიან, ჩვენი ენერგიის წყაროები. სიცოცხლის უკვდავების წყაროს საიდუმლოებაც ხომ პატარების სიცოცხლის არსშია?!

ლალი მეხრიშვილი

„შირაქის“ სკივრი

1960 WLIS APRILI

● PATIOSAN SROMAS GAURBODEN SOFEL MIRZAANSI MCXOVREBI RUSLAN ELVARDISVILI DA ZEMO MACXAANELI IVANE QAVTARAZE, ROMLEBIC MXARZE XELGADADEBULNI ERTAD QEIFOBDNEN DA CXOVREBIS IOL GZAS EZEBDNEN. AMASWINAT ZMABIWEBI QAVTARAZIS BINASI RAMIS 12 SAATAMDE WRUPAVDNEN BAXUSS DA ERTIMEORES `TARIELAVTANDILOBAS~ EFICEBODNEN, TAN XVALINDELI QEIFISTVIS SEMOSAVLIS GEGMAS ADGENDNEN. SEZARXOSDNEN DA PATIOSNEBA GAMOCLIL BOTLEBS GAATANES. GANZRAXVIS XORCSESXMA DAIWYES. MIRZAANSI ROM CAVIDNEN, RAMIS 2 SAATI IQNEBODA, SOFELS MSVIDAD EZINA. QURDEBI KI MELIEBIVIT MICUNCULDNEN MARAZIASTAN. QAVTARAZE STOPZE DADGA, ELVARDASVILMA KARI CAAMTVRIA. XMAURMA DARAJI SAGONEBELSI CAAGDO DA YVIRILI ATEXA, MACXOVREBLEBIC GAMOCVIVDNEN. QAVTARAZE ICNES DA GAUSVES. XOLO MARAZIASI DARCENILI ELVARDASVILI GAINABA. XMAURI ROM MIWYNARDA, AIRCIA SASURVELI PRODUQTEBI DA KARGAD DAZURQULI MIVIDA SAXLSI. JAFAGA MOCLILI MSROMELIVIT MIIKVRINA. DAESIZMRA, TITQOS CAXCAXA 100 MANETIANEBS ITVLIDA DA AM DROS KAKUNMA GAMOARVIZA. OTAXSI DAUPATIJEBELI STUMREBI - SAMXREEBIANI BIWEBI SEMOVIDNEN. MEORE DILA ORIVES SAPATIMROSI GAUTENDAT. VAJBATONEBI MALE WARDGEBIAN SASAMARTLOS WINASE.

1979 WLIS APRILI

● YVELAZE SWRAFI DA GULISXMIERI FOSTALIONIA PELO WIKLAURI-KEKISVILISA, ROMELIC ARXILOSKALOS MOSAXLEOBAS EMSAXUREBA. IS DAUZARELIA, TAVIS SAMSAXUREOBRIV MOVALEOBAS SIYVARULITA ZEDMIWEVNIT KARGAD ASRULEBS. SAUKETESO MUSAKI YVELAZE ADRE CXADDEBA FOSTASI DA KAVSIRGABMULOBIS GANYOFILEBIDAN AXALI JURNAL-GAZETEBIT DA SAFOSTO GZAVNILEBIT CANTADATVIRTULI GASWEVS XOLME TAVISI UBNEBISKEN. ARXILOSKALOS - MOSAXLEOBA DIDAD KMAYOFILIA MISI MOMSAXUREBIT, YVELA EMADLIEREBA MAS.

1982 WLIS APRILI

● SOFEL ZEMO QEDSI SAZARELI DANASAULI MOXDA. AM SOFLIS MKVIDRMA, G. GAMXITASVILMA CEMITA DA TANJVA-WAMEBIT SICOCXLES GAMOASALMA FEXMZIME 18 WLIS MEURLE. SOFELI MXOLOD MAS SEMDEG SESZRA AMBAVMA, ROCA MOXDA IS, RAC AR UNDA MOMXDARIYO. URIRSI ADAMIANIS MIER DATRIALEBULI CODVA DA ES SAVI LAQA DREIS AMAS IQIT, MTELMA SOFELMA UNDA ATAROS. AM SEMTXVEVAS DA SAERTOD SOFELSI DAMNASAVEOBASTAN BRZOLAS MIEZRVNA SOFLIS YRILOBA, ROMELIC MARTIS TVESI SEDGA. SOFLIS TAVKACI ARSEN KOBAIZE ARELVEBULI LAPARAKOBDA AM GAUGONAR DANASAULZE DA GAMXITASVILIS ARAADAMIANUR SAQCIELZE, ROMELMAC MTEL SOFELS MOSCXO CIRQI. ARADA, SWORED ARSEN KOBAIZIS XELSI AYVAVDA DA ARORZINDA ZEMO QEDI. MAGRAM IS AR CDILOBS SXVAS GADAABRALOS ES DANASAULI. AMBOBS, ROM AM SAQMESI MTELI SOFELIA DAMNASAVE, RADGAN MISI MXECURI BUNEBA GAMOEPARAT. RAMDENADAC ZEMO QEDI RESPUBLIKASI GANTQMULIA SROMITI SEUPOVROBITA DA SASAXELO MIRWEVEBIT, IMDENAD SAVALALOA MOMXDARI FAQTI. YRILOBAZE RAIONIS PROKURORMA ZURAB TUSURMA GANACXADA, ROM 10 MARTS TAVISI FEXIT GAMOCXADDA DAMNASAVE DA GANACXADA, ROM MTVRALMDGOMAREOBASI 9 MARTS, GVIAN RAMIT, MOKLA MEURLE. SOFLIS ERTI NAWILI MAS DADEBITAD AXASIATEBS, MEORE UARYOFITAD, GANSAKUTREBIT SI MTVRALIS DROS. IS SAMI WELIA AM SOFELSI CXOVROBS, MAGRAM ROGORC CANS MOSAXLEOBAM VER AMOICNO MISI XASIATI DA OJAXURI DAZABULOBA. DAMNASAVE MTELI SIMKACRIT AGEBS PASUXS, MAGRAM ISETI ARAVIN ARMOCNDA, ROM DROULI REAGIREBA MOMXDARIYO. PIRVELMA COLMA DA SAKUTARMA DEDAM VER AITANES MISI SIAVE DA DROULAD GANERIDNEL, MEORE MEURLE KI MKVLELS MOTACEBULI HYAVDA DA SEMDEGAC SUL DAVIDARABA SUFEVDA.

● SERIOZULI KACIS STABEWDILEBAS TOVEBDA 1953 WELS DABADEBULI WITELWYAROS AVTOSATRANSPORTO SAWARMOS MZROLI TARIEL BASILASVILI, MAGRAM EWVI SEGEPAREBAT, ROCA MOUSMENT. `FRINVELZE SANADIROD VIYAVI MINDORSI. SASVEBS ROM VEPAREBODI, MOULODNELAD BUCQEBIDAN XMAURITRARAC GAMOVARDA. SEVSINDI, VESROLE DA WYVITINI MOMESMA. TURME SEMTXVEVIT RORI MOMIKLAVS MINDORSI XOM AR DAVTOVEBDI, MANQANASI SEVAGDE DA SIN WAVIRE~. SAGAMOMZIEBLO ORGANOEBMA ORJONIKIZIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS DEDARORIS DATACEBISTVIS PASUXISGEBASI MISCES.

● WITELWYAROSI TQMULEBA DADIS, QEDELEBI BOZEBS VER ITANENO. QEDEBIS SOFLEBSI CENTRALURGZAZE ORIVE MXARES GAMAVALI ELEQTRO TU SATELEFONO BOZEBIS GASAWIRI SAINTERESOA. ISVIATAD TU NAXAVT BOZS, ROMELSAC VERTIKALURI MDGOMAREOBA SECVLILI AR HQONDES, AN RAIME KVALI ARETYOBODES DA ES YOVELIVE MTVRALI MZROLEBIS GAMOISOBIT. GANA SEIZLEBA, ISE GAMOTVRES KACI, ROM SAKUTAR TAVSAC SAFRTXE SEUQMNAS DA GARE MOSAC ZIANI MIAYENOS?

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ვეფხო ლოქიკელი



ჩემო ტკბილო და ლამაზო შვილო, მეცხრამეტე წელია, უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს – 5 მაისს. როგორი მტკივნეულია შენზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ ძმიშვილებს, დისშვილებს, შენს შვილიშვილებს ახსოვხარ, ჩემო ღიმილიანო შვილო. შენ სულ ჩემთან ხარ, რადგან შენ ხარ დილა, მზე და სხივი დედის გულში შეფარებული, მწუხრიც შენ ხარ და ვარსკვლავიც, მოლოდინიც, რომელსაც უკვდავება ჰქვია.

მამა გაგიფრთხილდება მანდ, ზეციურ სასუფეველში, რომლის გულმაც ვერ გაუძლო შენნაირი სიკეთის და სიყვარულის მთესველი შვილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.

უფალმა შენი სული გამინათლოს, შვილო ვეფხო, გამიბრწყინოს და გამიძლიეროს. გვიყვარხარ, გვენატრები, ჩვენო სიცოცხლევ, იმიერ ნათელში დამკვიდრებულო.

დედა ეთერ ლიქოკელი-ნაროზაული, **ძმა**-მინდია, **და** ნათია, **რძლები:** ლია, ნინო, ***შვილები, შვილიშვილები, ძმისშვილები და დიშვილები.***

ზესნა ტოკლიკიშვილი – ჯანიაშვილი

მოვიდა გაზაფხული, ჩემო საყვარელო ზესნა, მაგრამ ჩვენი ქორწინებიდან ორმოცდამეცამეტე გაზაფხულის 21 აპრილს უშენოდ შევხვდი. მძიმეა უშენოდ ჩემი ცხოვრება. ჩვენ ერთად შევქმენით ძლიერი ოჯახი, დავზარდეთ შვილები, შვილიშვილები. იყო ბევრი ლხინი, ამას თან ახლდა ჭირიც, მაგრამ ყველაფერს ერთად ვუძღვებოდით მთელი სიყვარულით და გვერდში დგომით, ძლიერ განვიცდით შენს დაკარგვას, ჩემო ზესნა, შვილები, შვილიშვილები, სანათესაო, შენი თანამშრომლები, მეგობრები და მეზობლები.

ამ წლების მანძილზე მრავალი ახალგაზრდა გამოზარდე, იყავი კარგი პედაგოგი და კარგი მმართველი.

შენ იყავი და დარჩები ყველას გულში, როგორც უაღრესად კარგი მეუღლე, კარგი დედა, ბებია, დიდი ბებია და მეგობარი. შენ ძლიერ გიყვარდა ლხინი სამეგობროში, სამსახურში, გიყვარდა სიმღერები და ლექსები.

„მე ვიცი, თმებში დამეწყო თოვა, მე ვიცი,
მაღე ზამთარიც მოვა,
ღიმილი, მინდა, ალერსი მინდა...
სხვა არაფერიო“ -

მღეროდი და დაგვიტოვე ერთი ანდერძი. თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით ჩვენც ამ სახსოვარს: „ დასჯერდით იმას, რაც დაგიტოვეთ: მოგეცით სიცოცხლე და განათლება შვილებს, შვილიშვილებს - ლექსები, სიმღერები, ოღონდ არ მიტიროთ, იცოდეთ, მე თქვენთან ვარ, მარად და მარად. თამარ, თამაზ თქვენ იცით, როგორ ლამაზად გამიხანგრძლივებთ და გამიგრძელებთ სიცოცხლეს, რა აზრი აქვს სხეულს, როცა ჩემი სული თქვენში ცოცხლობს. ჩემო პაწიებო, ჩემო ბაჭიებო, ჩემო გვრიტებო, თქვენი ყველა სატკივარი მე მიმაქვს თან. თქვენ ვერ მხედავთ, თორემ მე სულ თქვენთან ვარ და სულ თქვენთან ვიქნები. იყავით სათნო, კეთილი და პატიოსანი. იმღერეთ ჩემი სიმღერები, ლექსები, რომ მუდამ ვიცოცხლო თქვენში, ჩემო სიცოცხლეებო.

ჩემო მეგობრებო, ჩემო თანამშრომლებო და მეზობლებო, მადლობელი ვარ, უზომოდ მადლობელი ყველაფრისათვის. ვაი, რომ ვალად მიმაქვს თქვენი ამდენი ზრუნვა და სითბო.

დამილოცნიხართ, ჩემო კარგებო.“ ზესნა.

ცხოვრება მიდის თავის დინებით, მაგრამ შენს ხსოვნას მუდამ თავის ადგილი ექნება ჩვენს გულებში, სანთელ-საკმეველი და ლოცვა არ მოაკლდება შენს სულს, რათა დაიმკვიდრო სასუფეველი ცათა შინა.

ანზორი.

ხსოვნა

თამარ ბოსტოღანაშვილი

ჩვენო თამარ, ჩვენო დიდო ტკივილო, ერთი წელი გავიდა, რაც შენ ამქვეყნიური ცხოვრება დატოვე და სხვა სამყაროში გადასახლდი. ჩვენო გოგო, სიცოცხლით გაუმაძღარო, ვერ გაიხარე შენს შვილებში, ვერ მოესწარი ბებიობას, არადა, როგორ ოცნებობდი შენი შვილების ბედნიერებაზე... 9 თვე იყავი ავად, ბევრჯერ შემობრუნდი სიცოცხლისაკენ, მაგრამ ბოლოს მაინც სძლია სიკვდილმა, ვეღარ გიშველეს, ვეღარ გადაგარჩინეს...

საუკეთესო დედა, კარგი მეუღლე გამოაკლდა ოჯახს, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად შემოქმედებითი ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, დღენიადაგ ზრუნავდა შვილებზე და ახლობლებზე.

ძნელია უშენობა შენი შვილებისათვის, მეუღლისათვის, და-ძმისათვის, მულისათვის, რომელიც დასავით გიყვარდა, მაგრამ ყველაზე მძაფრად შენს სიკვდილს დედაშენი განიცდის, რომელსაც ვერავინ ანუგეშებს. ერთადერთი ადგილი შენი საფლავია, სადაც ის უშენობას ივსებს, მუდამ მწუხარე და სევდიანი...

23 აპრილს შენი დაბადების დღეა, 45 წლის გახდებოდი. ამ დღეს მოვალთ შენს საფლავთან შენი ახლობლები, ის ადამიანები, რომელთათვისაც ასე ძვირფასი იყავი, ყვავილებით და სანთლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს და ვილოცებთ შენი სულისათვის.

მამიდები: ნათელა და ნიაზი ბოსტოღანაშვილები

მეუღლე: ვერა ფილატოვა, შვილი მარინა, შვილიშვილები: გიგი, იანა, და მზია გონაშვილი, სიძე გოგი ჩაჩანიძე, ბიძა გივი ლათიბაშვილი, დეიდა ვარდიკო თიაყაშვილი, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

ვალიკო (წკიპა) გონაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 21 აპრილს ქ. დედოფლისწყაროში.

ნაირა გორაშვილი თანაგრძნობას უცხადებს მზია გონაშვილს ძმის

ვალიკო გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

ტარიელი, ეთერი, ლენა ღარიბაშვილები, ზურაბ გონაშვილი იუწყებიან დეიდაშვილის

გოჩა წიკლაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ფატი და ლუიზა ზურაშვილები იუწყებიან

ვალიკო გონაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მზია გონაშვილს ძმის და ვარდიკო თიაყაშვილს დისშვილის გარდაცვალების გამო.

მეუღლე: გელა, შვილები: ანი და ბექა; დედამთილი ზაირა; მაზლი გია, რძალი ნინო; მაზლისშვილები: თორნიკე და ვალერი ალუღიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო ტოკლიკიშვილი-ალუღიშვილი

დაიკრძალა ქ. დედოფლისწყაროში.

მეზობლები: იზოლდი პოპიაშვილი და სეილან ხატიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ გელა ალუღიშვილს მეუღლის, ანი და ბექა ალუღიშვილებს დედის, ზაირა და გია ალუღიშვილებს რძლის

ნინო ტოკლიკიშვილი-ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ანი და ბექა ალუღიშვილებს დედის

ნინო ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: გურამ ნატროშვილი, გოდერძი აბულაშვილი, გოგი გივიშვილი, ვასილ აბულაშვილი, ნოდარ გივიშვილი, ოთარ კიკნაძე, ვაჟა ნაროზაული, შალვა იაკობიშვილი, დავით ხუციშვილი, ლია პოპიაშვილი, თამაზ ლაპიაშვილი და თადო გონაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვენერა ტოკლიკიშვილისა და ილია მჭედლიშვილის ოჯახს ძმისშვილის

ნინო ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი იუწყება

ნინო ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის 2009-2010 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები და მათი მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ ანი ალუღიშვილს დედის

ნინო ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ერთ-ერთი აქტიური წევრის

თამილა პოპიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ძმას თემურ პოპიაშვილს და ახლობლებს.

გოდერძი აბულაშვილი და ეთერ ფიცხელაური ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა, ალიკა, პაატა, მზია, ნანიკო და არსენ მარტყოფლიშვილებს მეუღლის, მამისა და პაპის

ელგუჯა მარტყოფლიშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: გურამ ნატროშვილი, გოდერძი აბულაშვილი, ვასილ აბულაშვილი, ოთარ კიკნაძე, ილია მჭედლიშვილი, ვაჟა ნაროზაული, ლია პოპიაშვილი, თამაზ ლაპიაშვილი, თადო გონაშვილი, შალვა იაკობიშვილი და დავით ხუციშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გოგი და ნოდარ გივიშვილების ოჯახებს სიძის

ვახტანგ თანდილაშვილის

გარდაცვალების გამო.

სიკეთე გადამდებია

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველ და მეორე საჯარო სკოლებს სტუმრობდა პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ლევან ჯანაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში. წარმატებულია თავის პროფესიულ საქმიანობაში.. სურვილი გამოთქვა, რომ დახმარებოდა არამარტო მშობლიურ სკოლას, არამედ მეორე საჯარო სკოლასაც. საინტერესო შეხვედრა და საუბარი გვქონდა... განსაკუთრებით დაინტერესდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის რესურსოთახების რესურსებით.. შეხვედრიდან სულ ორი დღის შემდეგ საკმაოდ ძვირადღირებული და საჭირო რესუსრსები შეუძინა სკოლებს. ლევანმა სურვილი გამოთქვა, რომ აქტიურად ჩაერთვება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დედოფლისწყაროს სკოლებს შორის დამეგობრების პროექტში, რითაც ერთ სასიკეთო საქმეს ჩაყრება საფუძველი..

ლევან ჯანაშვილი არის პირველი სკოლის წარმატებული პედაგოგის მარინა ინასარიძის ვაჟი.. და თუ კადნიერებაში არ ჩამითვლით, მინდა გითხრათ, რომ ვიყავი მისი კლასის დამრიგებელი და ქართული ენა ლიტერატურის მასწავლებელი.

მეამაყები და მიყვარხარ ლევან.. მრავალი სასიკეთო საქმე გეკეთებინოს.სიკეთე გადამდებია და ვიცი ბევრს გაუჩნდება სურვილი სკოლების დახმარებისა....

დიდი მადლობა ამ დიდი სიკეთისათვის

ეთერ ზურიკაშვილი,
დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი

მადლიერება

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა გამოხატავს უდიდეს მადლიერებას ლევან ჯანაშვილის მიმართ, რომელმაც გამოიჩინა გულისხმიერება და სკოლას გადასცა განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები, საკანცელარიო ნივთები და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება. მან გამოხატა სურვილი შედგეს პროექტი დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლასა და ევროპული სკოლების დამეგობრების თაობაზე.

ლევან ჯანაშვილმა გაახარა სკოლის მოსწავლეები. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი გულისხმიერი და ქველმოქმედი ადამიანები. ლევან ჯანაშვილს ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და კარიერაში.

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის დირექცია.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია მადლობას უხდის თავის წარმატებულ კურსდამთავრებულს, ლევან ჯანაშვილს, რომელიც ამჟამად მოღვაწეობს გერმანიაში და არ ივიწყებს მშობლიურ რაიონს. მან ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლას გადასცა განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები, საკანცელარიო ნივთები და სხვა სახის თვალსაჩინოება. გვეამაყება, რომ ლევანი ჩვენი სკოლის პედაგოგის მარინა ინასარიძის შვილია. კვლავაც წარმატებებს და მრავალი სიკეთის კეთებას ვუსურვებთ მას.

ულოცავენ!

ავთანდილ და ცისანა ლეკაშვილებს!

გილოცავთ შვილების ვანო ლეკაშვილის და თაკო მეგრელიშვილის ქორწინებას. ახლადშეღლებულებს ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას, გამრავლებას და უამრავ ლამაზ დღეს. თქვენ კი გაიხარეთ მათი ბედნიერებით, აივსეთ შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით.

პატივისცემით, ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებლები.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთ დიდ სამსახურში ერთად ვმუშაობდით, მაგრამ ის სიყვარული და პატივისცემა დღემდე შემოგვრჩა. გულწრფელად გვიხარია თქვენი შვილების ვანო ლეკაშვილის და თაკო მეგრელიშვილის ქორწინება. გისურვებთ, გყავდნენ ისინი ბედნიერნი, ჯანმრთელნი, გამრავლდით და გაიხარეთ.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ნანა ჭიჭინაძე, მერაბ ფიროსმანაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, მერაბ როზიტაშვილი, გურამ ნათელაძე *ოჯახებით.*

ნინი ყოჩიაშვილს, რატი კაველიძეს!

ნინი, ჩვენო ლამაზო და გიჟმაჟო გოგო, შენ და რატის გილოცავთ გაბედნიერებას. მუდამ გეხაროთ და გეღიმილოთ, წინსვლას გისურვებთ და გამრავლებას. თქვენი სიკარგით და სითბოთი ყოველთვის ეამაყოთ თქვენს მშობლებს და დედმამიშვილებს. ღმერთმა დაგლოცოთ.

ბებია ეთერ ლიქოკელი-ნაროზაული, *ბიძა* მინდია ლიქოკელი, გიცოლა და გიძაშვილები.

ლია ხუციშვილს!

ჩვენო ტკბილო და თბილო მეგობარო, უერთგულესო ადამიანო, გილოცავთ შვილიშვილების მანანა ლელაძის და დომენიკ პინოს ბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს უსაზღვრო სიყვარულს, უდიდეს სიხარულს და ყველანაირ სიკეთეს ვუსურვებთ, თუ რაიმე არსებობს ამ ცისქვეშეთში. შვილთა სიმრავლე დაჰბედებოდეთ.

დიდი სიყვარულით,
მაია ბოსტაშვილი, თამარ ხარაშვილი და ცარო მარტიაშვილი.

ნათია ნატროშვილს!

ნათია ნატროშვილი ჩვენი ასოციაციის ახალგაზრდა და წარმატებული წევრია, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა ჯერ კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი, ახლა კი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის **(GIPA)** მაგისტრანტია. 26 აპრილი ნათიას დაბადების დღეა. ვულოცავთ და ვუსურვებთ ხანგრძლივ, ჯამთელ და ბედნიერ სიცოცხლეს მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად. კვლავაც წარმატებული ყოფილიყოს მისი ცხოვრება.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრთა სახელით: ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, მარინა ღვინიაშვილი, დიტო ყოჩიაშვილი, მარინა ხარაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი.

ჩვენო ძვირფასო ნათია, გილოცავთ დაბადების დღეს. შენ ჩვენი საამაყო შვილი ხარ. გვიყვარხარ და გვიიმედება შენი მომავალი. იყავ ბედნიერი შენს მეუღლესთან - რეზო გონაშვილთან და ქალიშვილთან ერთად. უფალი გფარავდეთ.

მშობლები: მზია და ტარიელ ნატროშვილები; დედამთილი-მამამთილი: ნონა და ზურა გონაშვილები.

კროსვორდი



შვეულად 1. ამ მეცნიერის დისერტაცია მხოლოდ ერთ გვერდს მოიცავდა და ზედ ერთვოდა მისი ცოლის ხელის მტევნის ჩონჩხის სურათი 2. ძაფი. ილებენ ქიის პარკისგან 3. ფრანგი მეცნიერი, რომელმაც შეიმუშავა პროდუქტების თერმულად დამუშავების მეთოდი 4. სურნელოვანი ხსნარი: კელნის წყალი 5. ამერიკელი დეტექტივი ალან ... 6. ყველაზე სწრაფად მზარდი ხე, რომელიც ბოტანიკურად ბალახს წარმოადგენს 7. მდინარე, რომელიც ციმბირის ცენტრად ითვლება 10. მტაცებელი ფრინველის ნარნარი ფრენა 16. ფიროსმანაშვილის, როგორც თვითნასწავლი მხატვრის ხელოვნება 17. ჩანთოსანი ცხოველი. მისი ახალშობილი 2 გრამს იწონის 18. საფრანგეთის მეფეთა საზაფხულო სასახლე 20. ალუმინის ძალიან თხელი ფირფიტა 21.იაპონური თეატრი. შეიქმნა XVII საუკუნეში 23.პალეოგენის შუა ეპოქა 25.ანდალუსიური სწრაფი ცეკვა 28. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი, სადაც დევს წმინდა ქვა ქააბა 33. ანდაზა: ... იყო ძმარიო და გაერია წყალიო

თარაზულად 5. პირველი ქალაქი, რომელიც დაიბომბა ფაშისტური გერმანიის მიერ, იყო ბასკური ქალაქი გერნიკა. ვინ დასატა ამ მოვლენის ამსახველი ტილო, რის გამოც იდევნებოდა ფაშისტებისგან (სახელი) 8. ჰოლანდიელი მხატვარი, რომელიც მუქი ტონების განსაკუთრებული სიღრმის მისაღწევად საღებავებში პუდრად ქცეულ მინას ურევდა 9. დამაავადებელი ბურთისებრი ბაქტერიები, რომლებიც ჯაჭვისებურ გაერთიანებებს ქმნიან 11. ღმერთ ვულკანის სამუშაო ატრიბუტი 12. კუზიანი ხარი. გავრცელებულია აზიასა და აფრიკაში 13. პოეზიის ჟანრი 14. ძველად, გეიშა სუფრის მომსახურე ქალი იყო იაპონიაში, რა ერქვა მონაფე გეიშას 15. რუმინელი მულტიპლიკატორი. გამოიგონა კიტრისთავიანი კაცუნას პერსონაჟი (სახელი) 17. რომელი ფრინველის სახელს უწოდებენ ახალზელანდიელები თავის თავს 19. სიტყვის ნაწილი. ნიშნავს ახალს 20. ინგლისელი ზღვაოსანი ჯეიმს ..., რომელიც ჰავაის კუნძულ კეალეკეკუას აბორიგენების მსხვერპლი გახდა 22. რას იყენებენ აკუპუნქტურით მკურნალობის დროს 24. რომელი თამაშის ტერმინია „მარსი“ 25. ნიშნავს ჩირქოვანს 26. პარკოსანი მცენარე, რომელიც ფესვებზე აზოტშემცველ კოჟრებს იკეთებს, რითაც ნიადაგს ანოყივრებს 27. სოფელი ბორჯომის რაიონში 29. ქედი, რომელზეც ევროპასა და აზიას შორის წარმოსახვითი საზღვარი გადის 30. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული 31. იაპონიის დედაქალაქი, რომელიც ოფიციალურად არ არის ქალაქი, ის იაპონიის ერთ-ერთი პრეფექტურაა 32. რბილი სასის გაგრძელება 34. ხელის ერთთვლიანი საზიდარი35. მოწყობილობა როიალში, რომელზეც დამაგრებულია პედლები

ყურადღება, სიახლე!!!

დედოფლისწყაროს საბანკეტო დარბაზთან გაიხსნა სარიტუალო დამკრძალავი ბიურო, რომელიც მოგემსახურებათ კატაფალკით, სასახლე-მაცივრით და სასახლეებით. შეღავათიანი პირობები გავრცელდება მათზე, ვინც ჩვენი სარიტუალო ბიუროთი და საბანკეტო დარბაზით ისარგებლებს.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ანზორ სეფიაშვილი, **ტელ: 599 73 15 95;**

ვაკანსია!

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას **გამყიდველის** პოზიციაზე, ხოლო სასტუმრო – **ადმინისტრატორისა** (სასურველია რუსული და ინგლისური ენების მინიმალური ცოდნა) და **მზარეულის** პოზიციაზე. ანაზღაურება შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 599 08 01 28

ამინდი დედოფლისწყაროს

ორშაბათი 23.04		სამშაბათი 24.04		ოთხშაბათი 25.04		ხუთშაბათი 26.04		პარასკევი 27.04		შაბათი 28.04		კვირა 29.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
12 °	11 °	14 °	11 °	13 °	12 °	19 °	17 °	19 °	17 °	20 °	13 °	14 °	9 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.